ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4896109

ნომერი: AR1734220

თარიღი : 09.03.2020

გაცემის თარიღი : 12.03.2020

გაცნობის თარიღი : 12.03.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , წყნეთის გზატკეცილი , II გასასვლელი , N10;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ირაკლი ჩოჩია პ/ნ 01008023007
- თბილისი ლ.კავსაძის ქ. N 7ა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 09 დეკემბრის №4783656 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 13

თებერვალს NAR1734220 განცხადებით მომართა ირაკლი ჩოჩიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 09 დეკემბრის №4783656 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 09 დეკემბრის №4783656 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, II გასასვლელი, N10, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.08.003.037), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 05 თებერვლის №4848104 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 05 თებერვლიდან 2020 წლის 05 ოქტომბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 09 დეკემბრის №4783656 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 1227.39 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 1546.32 კვ.მ. საზაფხულო ფართობი 750.89 კვ.მ-ის ნაცვლად 728.15 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 293.43 კვ.მ-ის ნაცლვად 301.37 კვ.მ, ავტოსადგომების ფართობი 592.96 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 484.71 კვ.მ, შესაბამისად, საერთო ფართობი 3452.39 კვ.მ-ის ნაცვლად 3648.27 კვ.მ. ასევე, მოთხოვნილია ღია ავტოსადგომის (111.90 კვ.მ) ცალკე ფართობად დაფიქსირება.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხ. რეგისტრაცია – N882019053397 მომზადების თარიღი: 28/01/2019 17:37:56) მიხედვით, N01.14.08.003.037 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ფლექსი დეველოპმენტი - ბაგები“ (405307546) . მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია - B18208950, მომზადების თარიღი: 19/12/2018 18:23:10), შპს „ფლექსი დეველოპმენტი - ბაგები“-ის (405307546) დირექტორს წარმოადგენს გიორგი მგელაძე (პ/ნ: 01009000837). სამსახურში წარმოდგენილია გიორგი მგელაძის მიერ ირაკლი ჩოჩიას სახელზე გაცემული სანოტარო წესით დამოწმებული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (სანორატო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: N191096052, რეგისტრაციის თარიღი: 10.09.2019 წ.).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ცვლილება შეიტანოს სამსახურის 2019 წლის 09 დეკემბრის №4783656 ბრძანებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 09 დეკემბრის №4783656 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი: 1546.32 კვ.მ. საზაფხულო ფართობი: 728.15 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 301.37 კვ.მ, ავტოსადგომების ფართობი: 484.71 კვ.მ, საერთო ფართობი: 3648.27 კვ.მ. ასევე, აღნიშნულ ბრძანებაში დაფიქსირდეს: ღია ავტოსადგომი ფართობით: 111.90 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 09 დეკემბრის №4783656 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განმცხადებაზე, ფაილის მიმაგდების ველში წარმოდგენილი გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 09 დეკემბრის №4783656 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 09 დეკემბრის №4783656 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.